# აუდიტის ტექნიკური დავალება

## 1. შესავალი

### 1.1. მდგრადი განვითარების ცენტრი- რემისიას მოკლე წარდგენა

მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“ 2011 წელს დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სხვადასხვა სექტორის მდგრადი განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას, ასევე ახალი ტექნოლოგიების და ცოდნის შემოტანას და შესაძლებლობების გაძლიერებას როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე.

ამჟამად, „რემისია“ ახორციელებს, მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) მიერ დაფინანსებული პროექტს და არის გაეროს გარემოსდაცვით პროგრამა (UNEP)- ის კონტრაქტორი ორგანიზაცია.

მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“ აცხადებს ტენდერს პროექტის „საქართველოს კლიმატ-ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასება და პრიორიტეტული ტექნოლოგიების შემოტანისა და გავრცელების საგზაო რუკის მომზადება“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარებაზე. პროექტი შეიცავს 5 აქტივობას.

აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ გამოცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი უნდა ჩატარდეს გარე, დამოუკიდებელი და კვალიფიციური აუდიტორის მიერ.

### 1.2. აუდიტორის კვალიფიკაცია

აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- იურიდიული პირი, საქართველოში შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ბიზნეს ლიცენზიით.
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან ან უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან აფილირებული პროფესიული ორგანოს წევრი.
- გააჩნია ადეკვატური შესაბამისი პროფესიული და საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, ან შეუძლია ადეკვატური კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე აუდიტის პერსონალს უზრუნველყოფა.
- ტექნიკურად კომპეტენტურია და შეუძლია აუდიტის სტანდარტების შესაბამისი აუდიტის ჩატარება.
- ობიექტური და დამოუკიდებელია პროექტისგან, მისი პერსონალისა და აქტივობებისგან და ორგანიზაციის მენეჯმენტის ან ფინანსური ინტერესების ყველა ასპექტისგან.

- ფლობს დამოწმებულ გამოცდილებას საჯარო სექტორის პროექტების ფინანსურ აუდიტში, ან მსგავსი ხასიათის, ტიპისა და სირთულის აუდიტებში, ან დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტში.

## 2. მიზანი

აუდიტის მიზანია მდგრადი განვითარების ცენტრი- რემისიისთვის 11/2021-10/2023 პერიოდის ფინანსური ანგარიშის აუდიტის ჩატარება და აუდიტის დასკვნის/მოსაზრების გაცემა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ზემოთ აღნიშნული პროექტის ფინანსური ანგარიში, შესაბამის პირობებსა და ინსტრუქციას ფინანსური ანგარიშგების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია რემისიასა და UNEP-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მათ შორის დანართებში.

რემისიას სურს ხაზი გაუსვას იმის მნიშვნელობას, რომ აუდიტორმა, დავალების ნაწილის სახით, უნდა შეაფასოს, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია თუ არა საგრანტო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 3. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

რემისია პასუხისმგებელია პროექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სათანადოდ წარდგენაზე, მათ შორის ინფორმაციის გამჟღავნების ადეკვატურობაზე, და საკმარისი შიდა კონტროლის შენარჩუნებაზე, რომ უზრუნველყოს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის, იქნება ეს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული, გამორიცხვა. რემისია, ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ თანხები გამოყენებული იყო მხოლოდ პროექტის მიზნებისთვის, ფინანსური შეთანხმებების შესასრულებლად და უზრუნველყოს ეფექტური შიდა კონტროლის შენარჩუნება, მათ შორის შესყიდვების პროცესზე.

პროექტის ბუღალტრული აღრიცხვები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველს და შექმნილია აქტივობებთან დაკავშირებული ფინანსური ტრანზაქციების ასახვისთვის. ეს მოიცავს ტრანზაქციების ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების და დამხმარე დოკუმენტაციის წარმოებას, სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და პროექტის აქტივების დაცვას.

## 4. აუდიტი მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

- აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და მოიცავდეს ტესტებსა და გადამოწმების პროცედურებს, როგორც აუდიტორები ჩათვლიან საჭიროდ.
- დასტურდებოდეს, რომ თანხები გამოყენებულია ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად, მიზნობრივად.

- საქონელი და მომსახურება შეძენილია რემისიის დადგენილი წესებისა და პროცედურების და დონორთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
- წარმოებული და შენახულია ყველა აქტივობასთან დაკავშირებული შესაბამისი დამხმარე დოკუმენტები, ჩანაწერები/აღრიცხვები და საბუღალტრო წიგნები და არსებობს მკაფიო კავშირი საბუღალტრო აღრიცხვასა და UNEP-ში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას შორის.
- აუდიტი უნდა ადასტურებდეს, რომ ფინანსური ანგარიშგება რემისიას მიერ მომზადდა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით და იძლევა ჭეშმარიტ და სამართლიან სურათს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ.
- განახორციელოს შეძენილი ნებისმიერი არსებითი აქტივის ფიზიკური შემოწმება და დაადასტუროს მათი არსებობა და გამოყენება პროექტის მიზნებისთვის.
- შეაფასოს ორგანიზაციის მმართველობის, რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების ადეკვატურობა და ეფექტურობა, ორგანიზაციაში საწვავის ეფექტური მართვის შესახებ გონივრული გარანტიების უზრუნველყოფისთვის.
- გადაამოწმოს წვრილმანი ფულადი სახსრების არსებობა და სიზუსტე, შეაფასოს წვრილმანი სახსრების სათანადო გამოყენება და დაადგინოს ადეკვატური და დაცულია თუ არა შიდა კონტროლის პროცედურები.
- არის თუ არა UNEP-ისთვის მოხსენებული დანახარჯებით გათვალისწინებული ხარჯები სათანადოდ დამტკიცებული, კლასიფიცირებული და დადასტურებული ადეკვატური დოკუმენტაციით.
- საბუღალტრო აღრიცხვისა და მთლიანი შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტურობის ყოვლისმომცველი შეფასება, ხარჯებისა და სხვა ფინანსური ტრანზაქციების მონიტორინგისთვის.
- გამოხატოს მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების ადეკვატურობასთან დაკავშირებით ყველა მატერიალური თვალსაზრისით.
- ანგარიშებში შეიტანოს მოსაზრება პროცედურებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც შექმნილია ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების გამოვლენის გონივრული გარანტიის უზრუნველსაყოფად.

- **რეგულაციები პერსონალის დანამატების შესახებ**

- აღწეროს აქვს თუ არა ორგანიზაციას რეგულაციები და დადგენილი ოდენობები პერსონალის მგზავრობის, დღიური თუ სხვა შესაბამისი დანამატის შესახებ და არის თუ არა რეგულაციები დამტკიცებული შესაბამისი დანიშნული ორგანოს მიერ.
- თუ რეგულაციები არსებობს; აღწეროს სრულდება თუ არა რეგულაციები და შეესაბამება თუ არა პროექტის ფარგლებში ანგარიშგებული დანამატების ხარჯები რეგულაციებს (თუ ასეთი ხარჯები არ შედის პროექტში, ეს უნდა იყოს მითითებული).
- აღწეროს რემისიას მიერ დადგენილი დანამატები და პროექტში შეტანილი დანამატები შეესაბამება თუ არა ზოგად პრაქტიკას და ხარჯების დონეს ქვეყნის შიგნით.

- **რეგულაციები საერთო ხარჯებისთვის**

  - აღწეროს რემისიას აქვს თუ არა  რეგულაციები და მეთოდები ადმინისტრაციული და ხელფასის საერთო ხარჯების პროექტებს/დონორებს შორის გაყოფისთვის (გამოიყენება პერსონალის ხარჯებზე და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებზე, როდესაც პერსონალი მუშაობს ერთზე მეტ პროექტზე).
  - თუ რეგულაციები/მეთოდები არსებობს: მიმოიხილოს, მიჰყვება თუ არა პროექტში დაგეგმილი საერთო ხარჯები და ანგარიშგებული ხარჯები ამ რეგულაციებს/მეთოდებს.

- **პერსონალის კონტრაქტები და ეროვნული რეგულაციების დაცვა**

  - აღწეროს აქვს თუ არა პროექტში შემავალ პერსონალს სამუშაო ხელშეკრულება.
  - აღწეროს შეესაბამება თუ არა პროექტის ფარგლებში ბენეფიტები და სახელფასო გადასახადები რემისიის ზოგად რეგულაციებს და მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას გადასახადებისა და სოციალური  მოსაკრებლების შესახებ.
  - აღწეროს შეესაბამება თუ არა პროექტის ფარგლებში ბენეფიტები და სახელფასო გადასახადები რემისიის ზოგად რეგულაციებს და მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას გადასახადებისა და სოციალური  მოსაკრებლების შესახებ.
  - თუ პროექტის პერსონალი ასევე მუშაობს სხვა პროექტებზე: აღწეროს არის თუ არა თითოეული თანამშრომლისთვის განსაზღვრული მთლიანი საათები ან დროის პროცენტული შეფარდება ამ პირის ხელმისაწვდომი სამუშაო საათების ფარგლებში.

## 5. ანგარიშგება

ანგარიშგებას ხელს აწერს პასუხისმგებელი აუდიტორი (არა მხოლოდ აუდიტორული ფირმა) და სახელწოდება.

## 6. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

აუდიტორის ანგარიშგება უნდა შეიცავდეს დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშს აუდიტის სტანდარტის ფორმატის შესაბამისად და აუდიტორის მოსაზრება მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული. ფინანსური ანგარიში, რომელიც ექვემდებარებოდა აუდიტს, უნდა დაერთოს დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშს.

აუდიტის ანგარიშები და რეკომენდაციები ორგანიზაციის მენეჯმენტისთვის უნდა მომზადდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

## 7. დასკვნა მენეჯმენტისთვის

აუდიტორის ანგარიშგება ასევე უნდა შეიცავდეს მენეჯმენტის წერილს აუდიტის დასკვნებითა და აუდიტის პროცესში გამოვლენილი სისუსტეებით. აუდიტორმა, მატერიალურობის მიუხედავად, რაოდენობრივად უნდა განსაზღვროს ხარჯების ოდენობა, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი დამხმარე დოკუმენტაცია. აუდიტორმა უნდა მიუთითოს რეკომენდაციები გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად და რეკომენდაციები წარმოდგენილი უნდა იყოს პრიორიტეტულობის თანმიმდევრობით. თუ აუდიტორი დაადგენს, რომ აუდიტის დროს არ გამოვლინდა რაიმე აღმოჩენა ან სისუსტეები, რაც მენეჯმენტის წერილის საფუძველი იქნებოდა, ამ შეფასების ახსნა-განმარტება მოყვანილი უნდა იყოს აუდიტის ანგარიშგებაში.

მდგრადი განვითარების ცენტრი- რემისია პასუხისმგებელია აუდიტორის რეკომენდაციებზე **მენეჯმენტის პასუხის** შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს დროში შეზღუდულ სამოქმედო გეგმას აუდიტორის იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელებასაც რემისია გეგმავს.